გადაწყვეტილება

N გ-23-17/1
12/01/2023

1-გ-23-1-4-202301121527

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2023 წლის №01 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2023 წლის 12 იანვრის N01 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომუნიკაციების კომისიის 2023 წლის 12 იანვრის №01 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-5 (მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე) საკითხი ამოღებულ იქნეს განხილვიდან, კომუნიკაციების კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე;
2. კომუნიკაციების კომისიის 2023 წლის 12 იანვრის №01 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 2 (ორი) საკითხი:
ა) შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისისთვის" არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტი, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი);
ბ) სს „სილქნეტისთვის" ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე (მომხს. მაია ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტი, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი);
3. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2023 წლის 12 იანვრის №01 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);
4. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე



წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი